სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 08

2021 წლის 12 თებერვალი

ქ. თბილისი

პლასტიკურ ბარათზე თანხის გადატანის და Zoom-ის მომსახურების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის "ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის №99607 (11.02.2021) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ელექტრონული პლატფორმის Zoom-ის შესყიდვის მიზნით სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფოდის (შემდგომში - ფონდი) აპარატის სახაზინო ანგარიშიდან კორპორატიულ საბარათე ანგარიშზე გადაირიცხოს Zoom-ის მომსახურების თანხას დამატებული საბანკო მომსახურების ხარჯი ჯამურად 800 ლარის ოდენობით;

2. დაევალოს ფონდის საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს უზრუნველყოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული თანხის ოდენობის გადარიცხვა საქართველოს ბანკში ფონდის კორპორტიულ მიმდინარე ანგარიშზე;

3. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს (მ. დათუაშვილს) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობა ფონდის საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტისათვის;

4. ბრძანება ძალაშია მხარეებისათვის გაცნობისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ჯაბა სამუშია